

"თუ დავიცავთ ტაძრის ეზოში დისტანციას, წესები არ დაირღვევა"



საქართველოს საპატრიარქოს პრესმდივნის მამა ანდრია ჯალმიაძის განცხადებით, ტაძრის ეზოში დისტანციის დაცვით 3 პირზე მეტის შეკრება წესების დარღვევად ვერ ჩაითვლება.

„როდესაც მაღაზიებთან რიგებს ვხედავთ, იქ ხომ არის 3 პირზე მეტი? ისინი იცავენ დისტანციას. დროში ხომ არაა შეზღუდული, რამდენ ხანს იდგებიან ისინი რიგში? ჩვენ თუ შენობაში არ ვიქნებით და დავიცავთ ტაძრის ეზოში დისტანციას, წესები არ დაირღვევა“, – აღნიშნა მამა ანდრია ჯალმიაძემ.

მისი თქმით, ტაძრების წინამძღვრებს სამი რეკომენდაცია მიეცათ.

„გეძღვებათ სამი რეკომენდაცია: პატრიარქის კურთხევით, რომ კომენდანტის საათის გათვარისწინებით, ხვარიდან დოცვები დაიწყოს შუა დღის 4.00 საათზე, ხოლო ყოველ დღე ეკლესია დაიკეტოს საღამოს 8 საათისთვის.

შეგახსენებთ, რომ აუცილებელია ტაძრის ეზოში 1,5 მ-ის დაშორებით დროულად გაკეთდეს ნიშნურები. ამისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამების ტაძარში მამა იოანეს (ტელ: 591000600).

გთხოვთ, ყოველდღიურად მოახდინოთ ხატების და სიწმინდეების ხშირად განმენდა (სპირტის და ვარდის წყლით), ასევე იატაკის დამუშავება და ეკლესიაში მუდმივი მეთვარყურეობისთვის გამოყოფთ პასუხისმგებელი პირები“, – წერია დეკანოზ ანდრია ჯალმიაძის

მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციაში.